



საქართველო  
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.  
LAGODEKHI  
2700 GEORGIA  
LAGODEKHI MUNICIPALITY  
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000082968677219

№ 17-ი

05 / აპრილი / 2019 წ.

## განკარგულება

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „კარგი მმართველობის“ გაუქმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 35-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის თანახმად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით :

#### მუხლი 1

ცნობად იქნეს მიღებული ფრაქცია „კარგი მმართველობის“ გაუქმება.

#### მუხლი 2

ფრაქცია „კარგი მმართველობის“ გაუქმებასთან დაკავშირებით, ბესარიონ შუბითიძეს შეუწყდეს ფრაქციის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

#### მუხლი 3

ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „კარგი მმართველობის“ შექმნის ცნობად მიღების და ფრაქციის თავმჯდომარისათვის თანამდებობრივი სარგოს დანიშვნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის №5-ი განკარგულება.

#### მუხლი 4

ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „კარგი მმართველობის“ თავმჯდომარის მოადგილისათვის თანამდებობრივი სარგოს დანიშვნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის №4-ი განკარგულება.

#### მუხლი 5

აღნიშნული ინფორმაცია ეცნობოს სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს და მერიის საფინანსო სამსახურს.


#### მუხლი 6

ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

## მუხლი 7

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამდასმულია  
ელემენტრულად 

კარლო ჯამბურია